შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№49 (9.565)

28 დეკემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, ყველას გილოცავთ შობა—ახალ წელს!

საქართველოს უკვე ათეული წლებია, რთულ დროში უწევს ცხოვრება. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლების მშვიდობიანმა ცვლილებამ ქვეყნის დემოკრატიული სახელმწიფოს ისტორიაში დადებითი და საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, თუმცა, მოსახლეობას მრავალი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და უმუშევრობის დამარცხება. ხალხის ერთ—ერთ მთავარ მოთხოვნას კი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა წარმოადგენს, რომელიც ქვეყანაში თითოეულ ადამიანს სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის განცდას დაუბრუნებს.

საქართველოს მსგავსად, დედოფლისწყაროსაც აწუხებს ბევრი პრობლემა. ზოგიერთ სოფელში კვლავ დგას სასმელი წყლისა და ბუნებრივი აირის პრობლემა. ჩვენი, ადგილობრივი ხელისუფლების მიზანია, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ყველა მოქალაქისთვის, თუმცა, ამისთვის გარკვეული დროა საჭირო. და კიდევ, ურთიერთნდობა და ურთიერთპატივისცემა. ეს ფაქტორი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საერთო მიზნის მიღწევას, რომელსაც დედოფლისწყაროელების კეთილდღეობა ჰქვია.

მრავალ შობა—ახალ წელს დაესწარით, 2013 წელი თქვენი სურვილების და ოცნებების ახდენის წელი ყოფილიყოს!

პატივისცემით,
ლევან ნატროშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი შიოლაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მოგესალმებით, ძვირფასო ამომჩევლებო, გილოცავთ დამდეგ შობა—ახალ წელს. წელს თითოეულმა თქვენგანმა ცხრა წლის შემდეგ განსხვავებული არჩევანი გააკეთა, მიუხედავად უამრავი პრობლემისა, დაშინებისა, და ამით მოგვეცით საშუალება ახალ პოლიტიკურ ძალას, ჩვენი სიტყვა გვეთქვა ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე და დაგვენახებინა ქართველი ამომრჩევლისთვის, რისი გაკეთება შეგვიძლია. ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება, პრემიერ—მინისტრმა სწორედ ამ დარგის აღორძინება დაისახა თავის ერთ—ერთ მიზნად. გაზაფხულიდან იგეგმება სოფლის მეურნეობის მილიონიანი ფონდის შექმნა, რომელიც მიწას დაუბრუნებს ქართველ კაცს. მას შეეძლება დაამუაშოს და კარგი მოსავალი მიიღოს, ამ შემთხვევაში მას აღარ მოუნდება მიწის გაყიდვა, იმ მიწის, რომლის თითო გოჯსაც სისხლის უკანაკნელ წვეთამდე იცავდა ქართველი. ჩვენს იტორიაში ხომ ასეთი მაგალითები უამრავია. ჩვენი გუნდის სურვილია, პირველ რიგში ადგილობრივი ბაზარი გააჯეროს ადგილობრივი პროდუქციით, ხოლო რაც შეეხება რუსული ბაზრის საკითხს, მისი დაბრუნება ახლა უკვე რეალობად იქცა და ქართველ გლეხს მოწეული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა ისე აღარ შეაწუხებს. უახლოეს მომავალში დაიწყებს განხორციელებას სოციალური პროგრამებიც, რომლებიც მოახლეობას ნორმალური ცხოვრების საშუალებას მისცემს.

გილოცავთ ახალ წელს, ჯანმრთელობა, ბარაქა, ბედნიერება იყო თქვენი თანმდევი 2013 წელს!

ალექსანდრე თამაზაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ დამდეგ შობა—ახალ წელს, 2013 წელი ყოფილიყოს თქვენთვის ბარაქის, სიკეთის, ბედნიერებისა და სიყვარულის წელი.

მუდამ გქონოდეთ განწყობა კლასიკური მუსიკის მოსმენის, რომელიც ალამაზებს, ამშვენებს და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს.

უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით
ვაჟა აზარაშვილი,
კომპოზიტორი.

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, ჩვენო ერთგულო მკითხველო, მოგესალმებით ყველას და გილოცავთ ახალ 2013 წელს!

გასრულდა კიდევ ერთი წელიწადი. ჩვენ, გაზეთ „შირაქის“ რედაქციაც, თავს ვალდებულად ვთვლით, ერთგვარი ანგარიშიც ჩაგაბაროთ საზოგადოებას, რომელიც ჩვენი შრომის შემფასებლები იყავით. „შირაქი“ ცდილობდა, ყოველთვის რეალურად შეეფასებინა და აესახა რაიონში არსებული სიტუაცია. ვცდილობდით, განსაკუთრებული ყურადღება მიგვეჰყრო სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, შემლებისდაგვარად დავხმარებოდით მათ. იყო შემთხვევები, როცა ჩვენი ძალისხმევა მიზანს აღწევდა და მათ დახმარებას ჩვენი ჩარევის შემდეგ ახერხებდა როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის ხელისუფლება. რამდენიმე მაგალითსაც მოვიყვანთ იმის საილუსტრაციოდ, რომ ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები არ გახლავთ: წერილის, რომლის სათაური გახლდათ „ჰენსია სიმღერის სანაცვლოდ“, გამოქვეყნების შემდეგ სტატიის გმირს ბიჭიკო ლოლაშვილს ჰენსიის მიწოდება აღუდგა, ხოლო ზემო ქედელ გაჭირვებულ ქალბატონს ლამარა მაღალაშვილს, რომელმაც არ იცოდა, რომ ნამდვილად ეკუთვნოდა დახმარება, ჩვენი წერილის შემდეგ დაენიშნა სოციალური დახმარება. ასევე, გაზეთ „შირაქში“ გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც სოფელ ოზაანში მცხოვრები უნარშეზღუდული მოზარდის დავით მელამის ოჯახს ეხებოდა, რეაგირება მოჰყვა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა, კერძოდ, ოჯახს, რომელიც რამდენიმე თვის წინ უსახლკაროდ დარჩა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა ბინის ქირის საფასურს ყოველთვიურად უნდის.

შესაძლოა, ჩვენს მიერ მომზადებულ ყველა სტატიას ასეთი დასასრული არ ჰქონია, მაგრამ გაზეთი მედიატორის ფუნქციას ყოველთვის ასრულებდა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, ცდილობდა, ხალხის გასაჭირი გულთან ახლოს მიეტანა და სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლებისგან მოესმინა დასაბუთებული არგუმენტები, თუ რატომ ვერ ხერხდებოდა ამა თუ იმ ჰრობლემის მოგვარება.

„შირაქისთვის“ მთავარ ღირებულებას მუდამ წარმოადგენდა ჩვენი ქვეყანა და თითოეული ადამიანი. ვცდილობდით, ნებისმიერი სტატია სწორედ ამ ღირებულებებისადმი ერთგულებით ყოფილიყო განმსჭვალული, რამდენად მოვახერხეთ ეს, თქვენი, ჩვენი მკითხველის განსასჯელია, ვისთვისაც და ვისი ხელშეწყობითაც ვქმნიდით შემოქმედებით ჰროდუქტს, რომელსაც გაზეთი „შირაქი“ ჰქვია. წელსაც თქვენი ერთგულების და გვერდში დგომის იმედი გვაქვს.

გილოცავთ ახალ 2013 წელს,ჩვენო თანამოქალაქენო, სპონსორებო, ჟურნალისტებო, დაე, ეს წელი თქვენი, ჩვენი იმედების გამართლების და ოცნებების ასრულების წელი ყოფილიყოს!

ინგა შიოლაშვილი
შპს „შირაქის“ დირექტორი

ბიუჯეტი დამტკიცდა

გვ.3

დენის ტარიფი მცირდება

გვ.3

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2013 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

გმირები არ საუბრობენ, გმირები საქმით ამბობენ თავის სათქმელს

ყოველ ორშაბათს რაიონის ცენტრში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სასაზღვრო პოლიციელებით ივსება, ზურგზე სამხედრო ზურგჩანთები აქვთ წამოკიდებული და დიდ ფაციფუცში არიან. ერთნი საზღვრიდან მოდიან და სახლებისკენ მიიჩქარიან, მეორენი პირიქით, სახლებიდან საზღვრისკენ მიემართებიან. იქვე დგანან სამხედრო ავტომანქანებიც. მოკლედ, არის ერთი ორომტრიალი. არ ვიცი, ვის როგორ, მაგრამ ჩემს გულს სიამაყე ეუფლება, როდესაც ერთბაშად ამდენ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდა ლომგულ ბიჭებს ვხედავ. ისინი ჩემს და ალბათ არამარტო ჩემს თვალში საქართველოს უთქმელი გმირები არიან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საზღვრის დასაცავად ცოცხალ მესერს ქმნიან. პატარა ამბავი როდის გახლავთ, საკუთარი ცხოვრების ნახევარზე მეტი ნაწილი საზღვარზე, ველურ პირობებში ყოფნას შეალიო. ამიტომ რაიონში არსებულ ყველა სამსახურზე უფრო რთულ და ამავდროულად საამაყო საქმედ სწორედ ამ ბიჭების მიერ გაწეული სამსახური მიმაჩნია. უამრავი ბარიერი არსებობს იმისათვის, რომ მესაზღვრეებამდე ჟერნალისტი მივიდეს და მათი ცხოვრება, მათი ყოფა უფრო ახლოს შეისწავლოს და საზოგადოებისთვის გახადოს ცნობილი, (რატომღაც ჭირს ადგილობრივ ადმინისტრაციასთან მასალაზე მუშაობისთვის შეთანხმებაც, თუმცა ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ჩემს მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯზე, არა მგონია, მესაზღვრეთა ადგილობრივი ადმინისტრაციის განრისხება გამოვიწვიო, მჯერა და მწამს არც ჩემთან მოსაუბრე ბიჭებს გაუბრაზდებიან.) მაგრამ მაინც, რადგან წლების მანძილზე ჩემი უსაზღვროდ დიდი სურვილი გახლდათ, რომ მესაზღვრეებზე დამეწერა, მანძილის სიშორისა და სხვადასხვა მიზეზთა გამო, ეს სურვილი ვერ ავისრულე. ამიტომაც, ერთ მშვენიერ ორშაბათ დღეს რაიონის ცენტრში თავმოყრილ მესაზღვრეებთან შეხვედრა დავგეგმე... საუბარს გაურბიან და თავს არიდებენ, აქაც რკინის ნებისყოფას იჩენენ და სიტყვაძუნწობენ. გაოცებული ვარ, ადამიანები, ამხელა საგმირო საქმეს აკეთებენ და სათქმელი არაფერი აქვთ?! თუმცა, მათი კარგად მესმის, გმირები არ საუბრობენ, გმირები საქმით ამბობენ თავის სათქმელს.

ჩემი კითხვები ასეთია-როგორია მათი ყოველი დღე საზღვარზე, როგორ ცხოვრობენ იქ, როგორი განწყობა სუფევს მთლიანობაში მათ კოლექტივში და როგორია საზღვარზე გატარებული ახალი წელი?!-პასუხები ცივი და მარტივია, თუმცა მრავლისმთქმელი.

-ჩვეულებრივად თენდება და ღამდება, განსაკუთრებული არაფერი,საგუშაგოებზე გავდივართ, ვმორიგეობთ და თუ რაიმე საეჭვო შევნიშნეთ, ერთმანეთს გადავცემთ.

- მომხდარა კი რაიმე საეჭვო ბოლო დროს?!

-არა, ასეთი რამ კარგა ხანია არ დაფიქსირებულა.

- ვიცი, რომ ორი კვირის მანძილზე საზღვარზე დარჩენა და ოჯახისგან მოწყვეტა არც ისე ადვილია თითოეულისათვის, სიტყვებით როგორ გადმოიცემა ესსირთულე?!

- მართალია, იოლი არ არის, გვიჭირს, რა თქმა უნდა, ოჯახისგან კვირაობით მოწყვეტილნი ვართ, მაგრამ, ჩვენი მისია ასეთია. მუდმივად მოვუწოდებთ ჩვენს თავს, რომ ქვეყნის და სამშობლოს სამსახურში ვართ, მის წინაშე ვალდებულება გვაქვს აღებული და ამ შემართებით გაგვყვავს დღეები.

- ინფორმაციას როგორ ღებულობთ, არის ტელევიზია თქვენთან?

- არის, მაგრამ ქართულ არხებს ნაკლებად ან ცუდად აჩვენებს, ძირითადად აზერბაიჯანული არხებია, თუ ტელევიზორისთვის დრო გამოვნახეთ, ვინც მორიგეები არ ვართ, კინოებს ვუყურებთ. იმ დროის მანძილზე, რაც იქ ვართ, ყველასგან და ყველაფრისგან გათიშულები ვართ, ქვეყანაში მიმდინარე სიახლეებს უფრო ახლობლებთან სატელეფონო საუბრებიდან ვიგებთ. ძირითადად ჩვენი ცხოვრება ველურ პირობებში ცხოვრებას ჰგავს, არ გვაქვს ჰიგიენის დაცვის საშუალება. დიდი დროით საზოგადოებისგან მოწყვეტა მაინც ძალიან გვიჭირს, გვენატრება ცოლ-შვილი, ახლობლები. ჩვენთვის ყველანაირი პირადული დავიწყებულია. ხომ გესმით არა!

- თქვენი სამუშაოს სტრუქტურას ალბათ თავიდანვე გაეცანთ. საინტერესოა, რამ განაპირობა, რომ ასეთ რთულ სამუშაო პირობებს დათანხმდით, სამშობლოს სიყვარულის მოწოდებამ გაიძულათ, ეკონომიურმა ფაქტორმა და ოჯახის კეთილდღეობისთვის ზრუნვამ თუ დასაქმების სურვილმა?! და საერთოდ რა განწყობით, რა საფიქრალით ცხოვრობთ ყოველი ახალი დღე?!

- ტყუილი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ სამშობლოს დასაცავად ზრუნვის ინტერესმა მოგვიყვანა აქ, რა თქმა უნდა ყველა ფაქტორმა ერთდროულად ითამაშა, ოჯახის კეთილდღეობაც იყო გათვალისწინებული და დასაქმების სურვილიც. როგორ ვცხოვრობთ? - ერთმანეთის გატანით და ერთმანეთზე ზრუნვით ვცხოვრობთ, ერთი გასაჭირი გვაქვს და ერთი ლხინი, თითქოს ერთი ოჯახის წევრებივით ვართ. ალბათ ჩვენზე უკეთ არავის ეცოდინება მეგობრობის და ურთიერთგატანის ფასი. ჩვენნაირი შეკრული კოლექტივით ალბათ ვერავინ დაიკვეხნის, აი ასე ვცხოვრობთ.

- ამბობენ, წელიწადის ყველა დრო ულამაზესიაო საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში? თქვენ რას იტყვით?

-ძალიან ლამაზი და მომხიბლავი ადგილებია, უფრო ის მყუდროება და სიცარიელე ალამაზებს და ავსებს იქაურობის ხიბლს, ყოველ დილა რომ გადახედავ არემარეს, სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავ და იმ მდუმარებაში გაივლი,ერთ ცხოვრებად ღირს ეს ყველაფერი. ულამაზესი ბუნებაა ახლაც და ყოველ სეზონზე საზღვრის პირა ტერიტორიებზე, ამიტომ ბედნიერნი ვართ, რომ ამ სილამაზის ყოველდღიური ხილვის შესაძლებლობა გვაქვს, იქ სხვანაირად ამოდის მზე და სხანაირად მოდის ბინდიც...

- როგორია მესაზღვრეების საზღვარზე გატარებული ახალი წლის დღესასწაული?! გეუფლებათ თუ არა სიხარულის განწყობა?!

- ჩვეულებრივი დღეა ჩვენთვის, ჩუმად და წყნარად ვხვდებით, ისე, როგორც მესაზღვრეებს შეგვეფერება. მხოლოდ გულში გვიხარია. წლებია საახალწლო საჩუქრებს ვიღებდით წინამორბედი მინისტრისგან, მართალია ბევრი არაფერი იყო, მაგრამ, მაინც გვახარებდა და ჩვენს დაფასებას ამით ვგრძნობდით, ამჯერადაც მივიღებთ ალბათ ახალი მინისტრისგან რაიმე საჩუქარს და თუ ასე იყო, ძალიან გაგვიხარდება.

ლალი მეხრიშვილი.

დავით უსუფაშვილი– გადავწყვიტეთ, ხელი არ ვახლოთ პრეზიდენტის არც ერთ უფლებამოსილებას, გარდა ერთისა

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ხელი არ ვახლოთ პრეზიდენტის არც ერთ უფლებამოსილებას მისი ვადის ამოწურვამდე, ყველა კომპეტენცია დავუტოვოთ ხელუხლებლად, გარდა ერთისა - ერთპიროვნულად ვერ შეცვალოს საქართველოს მთავრობა ქართველი ხალხის ნების გარეშე, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა პრემიერის ინიციატივას პარლამენტის დათხოვნის ვადების შემცირებასთან დაკავშირებით. უსუფაშვილის თქმით, ამის თაობაზე საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი პარლამენტში შევა, რომელიც უმრავლესობის მხრიდან იქნება ინიცირებული.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, პრემიერ-მინისტრმა საკმაოდ დეტალურად განმარტა ამ ცვლილებების მიზეზი.

“მან ბრძანა, რომ არასდროს ყოფილა დაინტერესებული პოლიტიკური რევანშით, მაგრამ ჩვენ ვერც იმას დავუშვებდით, დაგვეხუჭა თვალი იმაზე, თუ რა ხდებოდა ამ ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში და რა სისტემა, რა რეჟიმი შეიქმნა “ნაციონალური მოძრაობის” და მისი ლიდერების მხრიდან. ამიტომ, ჩვენ არ და ვერ გავიზიარებდით იმ რჩევებს, რომ არჩევნების შემდგომ, 2-3 ოქტომბერსვე გვეთქვა, რომ მორჩა ყველაფერი, დავივიწყეთ ყველაფერი, აგერ არის დემოკრატიული უმცირესობა, რომელმაც ქვეყანა ააყვავა და ახლა ჩვენ აყვავებულ ქვეყანას უნდა გავუძღვეთ წინ. ამიტომ, გარკვეული დრო დასჭირდა, რომ ბევრი რამ გამხდარიყო აშკარა, მტკიცებულებებით გამყარებული, როგორც ქართველი ხალხის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს ეტაპიც დასრულდა, ანუ რეჟიმი, სისტემა სრულად არის გამომზეურებული და ასე ვთქვათ, გაშიშვლებული. ამ ყველაფერმა კი თავი მოიყარა 2004 წლის იმ საბედისწერო საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებში. საბედისწერო იმიტომ, რომ იმ ცვლილებებმა ააცდინა გზას “ნაციონალური მოძრაობა” და მისი ლიდერი, რომელიც დიდი ენთუზიაზმით და დიადი გეგმებით მოვიდა სათავეში”,-განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ერთ კაცს, პრეზიდენტს, კონსტიტუციურად ეძლევა უფლება იგნორირება გაუკეთოს მოსახლეობის ნებას, “რომელიც ორიოდე თვის წინ იყო გამოხატული”.

“თუ ამ ცდუნებას ვერ გაუძლებდა პრეზიდენტი და ჩათვლიდა, რომ ეს იყო საჭირო და ერთადერთი გამოსავალი სრული პოლიტიკური გაკოტრებისგან თავის დასაცავად, თუ ამ ნაბიჯს გადადგამდა, ამას მოჰყვებოდა პროცესები, პირველ რიგში ქართველი ხალხის მხრიდან”,- განაცხადა უსუფაშვილმა.

მისი თქმით, კოალიციამ გადაწყვიტა “ნაციონალური მოძრაობის” ლიდერები შეაჩეროს “არასწორ გზაზე და არ დაუშვას პოლიტიკური კრიზისი”.

“აქედან გამომდინარე, პარლამენტი მზადაა მოიხსნას იმუნიტეტი პარლამენტის 6 თვიანი დათხოვნის შეზღუდვის შესახებ. თუ პრეზიდენტი გადაწყვეტს, რომ მაინც რაიმე ხდება ქვეყანაში, მან საქართველო უნდა იხსნას და მთავრობა შესაცვლელია, ჩვენ ვეთანხმებით, ოღონდ, ეს უნდა მოხდეს პარლამენტის დათხოვნით და ახალი არჩევნების ჩატარების გზით - მოქმედი მთავრობისა და არა პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული მთავრობის პირობებში. ჩვენ “ნაციონალურ მოძრაობას” და პრეზიდენტს ვეუბნებითთუ ამაზე წამსველელები ხართ, კი ბატონო. ვნახოთ ვინ დარჩება მოგებული და ვინ წაგებული პოლიტიკურად”,-განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტმა „ამნისტიის კანონთან“ დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტო დაძლია

საქართველოს პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ“ კანონის პრეზიდენტისეული ვარიანტი ჩააგდო და 91 ხმით 24—ის წინააღმდეგ ვეტო დაძლია. პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განმარტებით, გადაწყვეტილების მიუხედავად, კანონი ძალაში შესული ჯერ კიდევ არ არის.

„დღეს მიღებული გადაწყვეტილება ვეტოს დაძლევის თაობაზე ისევ უნდა მიეწოდოს პრეზიდენტს და მან კანონზე ხელი 7 დღის განმავლობაში უნდა მოაწეროს. თუ ის გადაწყვეტს, რომ კვლავ არ მოაწეროს მას ხელი, მაშინ ამას უკვე პარლამენტის თავმჯდომარე გააკეთებს. სწორედ იმ მომენტიდან იქნება კანონი მზად, რომ გამოქვეყნდეს და მას შემდეგ შეიძენს იურიდიულ ძალას“, - განაცხადა უსუფაშვილმა და იქვე განმარტა, რომ თუ პრეზიდენტი უარს იტყვის, ის კანონს ხელს აუცილებლად მოაწერს.

პატარებს ახალი წელი მიულოცეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში სოციალურად დაუცველ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადაეცა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას არც მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახების შვილები დავიწყებია.საქველმოქმედო აქცია მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ ერთეულში განხორციელდა.საახალწლო ნუგბარი 540 პატარას გადაეცა.

ბიუჯეტი დამტკიცდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცებულია. 24 დეკემბერს ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა, ხოლო 26 ნოემბრის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ის ერთხმად დაამტკიცეს. 2013 წლისთვის დედოფლისწყაროს ადგილობრივი ბიუჯეტი 4 110 000 ლარით განისაზღვრა, გამოიკვეთა ასევე მომავალი წლის პრიორიტეტებიც.

დედოფლისწყაროელების ყველაზე დიდი ინტერესის საგნად კვლავ რჩება სოციალური პაკეტის თემა, რადგან ჩვენს ქვეყანაში კვლავ დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სახელმწიფოსგან ელიან შველას. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებისთვის 2013 წლის ბიუჯეტში 200 ათასი ლარია გამოყოფილი. ზამთარია და მოსახლეობის უმთავრეს პრობლემას გათბობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. წელს ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ დაარღვია წინა წლების ტრადიცია და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსახლეობას სათბობი შეშის შეძენის ნაცვლად ერთჯერადი თანხა—100 ლარი გადასცეს და ამ ჟესტით მათ მისცენ გათბობის საშუალებების ალტერნატივა, ანუ, ადამიანს შესაძლებლობა ექნება, საკუთარი სურვილისამებრ ან შეშა შეიძინოს, ანდა მოხმარებული ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გადასახადი გადაიხადოს. ***„მოსახლეობამ უკეთ იცის, რა უფრო ეკონომიურია მისთვის, გაზი, შეშა თუ ელექტროენერგია“*** - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ნატროშვილმა და დასძინა, რომ თუ წინა წელს 450—მდე ოჯახმა მიიღო შეშა, წელს 600—მდე ოჯახი მიიღებს 100 ლარიან დახმარებას. ადგილობრივი ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ეს გაცილებით მოქნილი სქემაა, ვიდრე შეშის შეძენა.

2013 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხის ზრდა უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების ბინებით უზრუნველყოფისთვის. კერძოდ, თუ წინა წელს ამ კატეგორიის ადამიანებისთვის დახმარება განისაზღვრებოდა 50 ლარით, მომავალი წლის ბიუჯეტი მათთვის 75 ლარს გამოყოფს. ***„იმისთვის, რომ ყველაფერი საგადასახადო კოდექსის ჩარჩოებში ჩაჯდეს, დოკუმენტურად უნდა მოხდეს თანხის გაფორმება. კანონით განსაზღვრული ყველანაირი გადასახადის გათვალისწინებით ბინის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა საბოლოო ჯამში 60 ლარს მიიღებს, ანუ წინა წელთან შედარებით 10 ლარით მეტს“***—განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა. მანვე ახსნა კომუნალური სამსახურისთვის დაფინანსების გაზრდის მიზეზიც: ***„მომავალი წლის ბიუჯეტში დაფინანსება გაეზარდა „შპს—2007“—ს. მოგეხსენებათ, ჩამოვიდა ახალი, სახურავიანი ნაგვის ურნები, რომლებიც ქალაქ დედოფლისწყაროში დამონტაჟდება, არსებული ბუნკერები კი გავა სოფლებსა და პერიფერიებში, ასევე შეძენილია ნაგვის გასატანი ახალი მანქანა და გრეიდერი, ორივე მათგანს სჭირდება მძღოლი და მომსახურება, აქედან გამომდინარე— დამატებითი სახსრებიც“.***

ბიუჯეტის დამტკიცებისას ყურადღება გამახვილდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაზე. როგორც აღინიშნა, ცენტრალური ბიუჯეტიდან იგეგმება სერიოზული თანხის მოძიება ადამიანების ჯანდაცვისთვის, კერძოდ, ცოტა ხანში ამოქმედდება საყოველთაო დაძღვევის პროექტი და ამიტომ ადგილობრივ ბიუჯეტში იმდენი თანხა აღარაა გათვალისწინებული, თუმცა 2012 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსები არ შემცირებულა და ამ წლის ბიუჯეტში ჯანდაცვის პროგრამა კვლავ 72 000 ლარითაა განსაზღვრული.

დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლება იმედოვნებს, რომ 2013 წლის ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზრდება და ბევრი სასიკეთო სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება დედოფლისწყაროში.

ინგა შიოლაშვილი

დენის ტარიფი მცირდება

სემეკის გადაწყვეტილებით, ელექტროენერგიის ტარიფი კახეთის გარდა, ყველგან შემცირდება. აღნიშნული გადაწყვეტილება სემეკმა 27 დეკემბერს მიიღო.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ორ კომპანიასთან — "ენერგო პროსთან" და „ინტერ რაოსთან“ უკვე გააფორმა ხელშეკრულება. იმის გამო, რომ „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ გაკოტრების რეჟიმში მუშაობს, ხელშეკრულების გაფორმება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

კახეთის რეგიონი რომ გამონაკლისია, ამას ოფიციალურადაც ადასტურებენ.

„1 იანვრიდან ტარიფი შემცირდება. გაფორმდა მემორანდუმი სხვადასხვა კომპანიებთან, რომლის მიხედვითაც 3-დან 4 თეთრამდე შემცირდება გადასახადი, თუმცა იქნება გამონაკლისი კუთხე — კახეთი, სადაც ენერგეტიკის სამინისტრომ ტარიფის შემცირება ვერ მოახერხა", — განაცხადა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა.

ცნობისთვის, ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, უახლოეს მთავრობის სხდომაზე იგეგმება შესაბამისი დადგენილების მომზადება, რომლის შედეგადაც კახეთის მოსახლეობისთვის ტარიფების სუბსიდირება და მათი კომპანია „ენერგოპროს“ ტარიფებთან გატოლება მოხდება.

„კახეთის ენერგოდისტრიბუციაში“ ვერ აკონკრეტებენ, როდის, თუმცა მიიჩნევენ, რომ კახეთის რეგიონის მოსახლეობა სხვა რეგიონებში მაცხოვრებლებისგან დაჩაგრულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება.

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ჟანა დიდებაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას განმარტავს, რომ კახეთის მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის ტარიფი ნამდვილად დაიწევს და ეს სუბსიდიის ხარჯზე მოხდება.

„წინასწარი ინფორმაციით, სუბსიდია განხორციელდება. 2013 წლის ბიუჯეტში იქნება განხილული და ვაუჩერის სახე ექნება ამ სუბსიდიას. კონკრეტულად როგორი სახე მიეცემა, ეს მოგვიანებით გადაწყდება. ეს იგივე შეღავათს მისცემს კახეთის რეგიონის მოსახლეობას, რაც ტარიფის დაწევის შემთხვევაში იქნებოდა. ენერგეტიკის სამინისტროს და სემეკს ჩვენთვის ზუსტი დრო ამ ეტაპზე არ უცნობებია. თუმცა, ვფიქრობთ, ცვლილებები ჩვენს აბონენტებსაც მალე შეეხება," — განაცხადა ჟანა დიდებაშვილმა.

ამავე საკითხთან დაკავშირებით მოგვიანებით კომენტარი გააკეთა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმაც. კახა კალაძის განცხადებით, ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ სუბსიდირებისათვის 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 მლნ 800 ათასი ლარი გამოიყოფა.

კახი კალაძის თქმით, „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ გაკოტრების რეჟიმშია და კომპანიასთან ტარიფების დაწევის თაობაზე ვერ ისაუბრებდნენ. „ამის გამო დაფინანსება იქნება ბიუჯეტიდან, მოხდება სუბსიდირება იმისათვის, რომ ქვეყანაში ერთნაირი ტარიფი იყოს“, — განაცხადა კალაძემ.

ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება კახეთის მოსახლეობაზე არ გავრცელდებოდა დედოფლისწყაროელებში უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ აბონენტების დაყოფა არ უნდა ხდებოდეს და შეღავათი ყველა ოჯახს ერთნაირად უნდა შეეხოს.

შეგახსენებთ, 2009 წლის იანვრიდან „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ ლიტვური კომპანია „ახემა ჯგუფი“ ფლობდა. ინვესტორს კომპანია ჩამოართვეს. „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიმართ გაკოტრების საქმე 2011 წლის 5 აგვისტოს გაიხსნა. კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მიმართეს. ოფიციალური ინფორმაციით, ენერგოსადისტრიბუციო კომპანიას 4 417 544 ლარი დავალიანება აქვს.

2011 წლის ოქტომბერში, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით მომრიგებელმა საბჭომ კომპანიის გაკოტრების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, ლიტვურმა ინვესტორმა კომპანია „გრუპპა ახემამ“ საინვესტიციო პირობების შესრულება ვერ შეძლო და ვალების დაგროვება დაიწყო. ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური აცხადებდა, რომ „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ მალე გაიყიდებოდა, რაც არ შესრულდა. კომპანია დღემდე გაკოტრების რეჟიმშია. რამდენიმე დღის წინ, გაკოტრების მმართველად „ქართული ოცნების“ წევრი აკაკი ბეგაშვილი დაინიშნა.

ილია მარტყოფლიშვილი

მრავალ ახალ წელს!

დამთავრდა მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრი საჯარო სკოლებში. შეჯამდა შედეგები, დაიწერა ნიშნები, დაიწყო საახალწლო—საშობაო არდადეგები. საზეიმო წინასაახალწლო განწყობით დატოვეს სკოლა ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა — მათ საახალწლო კარნავალი მოაწყეს და კარგადაც მოილხინეს. კარნავალის საახალწლო განწყობას წითელ ზოლად გასდევდა დევიზი: „სიბრძნეს +სიყვარული“.

— ჩემო ძვირფასებო, სულ რამდენიმე დღე დარჩა ახალ წლამდე და შემობრძანდება 2013 წელი. მინდა, ჩვენი საახალწლო გასართობი საღამო მივუძღვნათ სამყაროს მაცოცხლებელ ძალას—სიყვარულს. ერთადერთი სიტყვა, რაც ადამიანს თავისი არსებობის ჟამს წარმოუთქვამს და არ გაუფერულდა, არ გახდა ბანალური, ეს არის სიტყვა „მიყვარხარ“! ეს ის ჯადოსნური სიტყვაა, რომელიც ერთნაირად ალღობს მტრის და მოყვასის გულს. მინდა, ჩვენი საახალწლო კარნავალი იყოს სიყვარულის დღესასწაული. ჩვენმა ღვთითკურთხეულმა ერმა სიყვარულის და ბედნიერების საკუთარი მოდელი შექმნა და მას ასეთი ფორმულირება მოუძებნა: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“, გაუმარჯოს კაცთა შორის სიყვარულს!—ასე მიმართა შესავალ სიტყვაში სკოლის ორგანიზატორმა მაია კეტეციანმა და ასპარეზი ღონისძიების პირველი ნაწილის წამყვანებს ლიკა ლოლაშვილს და ხათუთა ცისკარაულს დაუთმო, რომლებმაც მსმენელი დაატკბეს ერის მამის, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ეპისტოლეებიდან და ქადაგებებიდან მნიშვნელოვანი და ბრძნული ამონარიდების მხატვრული კითხვით.

პატრიარქი ხომ ყოველი ახალი წლის ღამეს გვილოცავს და გვავსებს სითბოთი და სიყვარულით.

ღონისძიების მეორე განყოფილებამ წინასაახალწლო მხიარულებაში ჩაიარა. მას უძღვებოდა იუმორის გრძნობით გამორჩეულად დაჯილდოებული მოსწავლე ლაშა ლათიბაშვილი.

— მე ძალიან კარგ განწყობაზე ვარ, სიყვარულით და სითბოთი ამევსო გული და იმედია, თქვენც შემოუერთდებით ჩემს განწყობას-მიმართა თანატოლებს ლაშამ და მრავალი გასართობი ნომერი შესთავაზა დამსწრეთ: იყო სიმღერის და ცეკვის კარაოკეები, ხალისიანი თამაშები, ორიგინალური სადღეგრძელოები, ლექსები, იუმორისტული სკეტჩები, პაროდიები. დისკოთეკაზე ყველა ერთად აცეკვდა—მოსწავლეც და მასწავლებელიც. ყველამ კარგად მოილხინა და კმაყოფილებმა, წინასაახალწლო განწყობით დატოვეს დარბაზი.

ნაირა გორაშვილი

წითელქუდა თანამედროვე ვარიანტში

უკვე მეორე წელია, დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაგა-ბაღში ტრადიცია დამკვიდრდა: საბავშვო ზღაპრის მიხედვით იწერება სცენარი, სადაც როლებს არა პატარა ვირტუოზები ირგებენ, არამედ ბაღის მასწავლებლები, ხოლო მაყურებლის რანგში დარბაზში საბავშვო ბაგა-ბაღის პატარა აღსაზრდელები ისხდნენ. პედაგოგებმა პატარებს წარმოუდგინეს „წითელქუდა თანამედროვე ვარიანტში“. ეს არ გახლდათ უბრალო თამაში, ეს გახლდათ როლის მთელი გააზრებით შესრულება და სამსახიობო ნიჭის გამოვლენა, ეს გახლდათ პედაგოგების მთელი გულით მიძღვნილი საჩუქარი ბავშვებისთვის. სცენარი, რომელიც თანამედროვე ვარიანტში ბაღის მეთოდისტმა და გამოცდილმა პედაგოგმა ნათელა თამაზაშვილმა შეადგინა, საკმაოდ მომხიბვლელი და საინტერესო აღმოჩნდა ბავშვებისთვის. ასე რომ, პატარები მშვენივრად აჰყვნენ ზღაპრის გმირებს,მთელი ღონისძიების მანძილზე იცინეს და კარგადაც იმხიარულეს. მგელი-პედაგოგი მაია გაგნიაშვილი,წითელქუდა-პედაგოგი მარინე ჯორკოშვილი, წითელქუდას დედა-პედაგოგი თამარ ლომსაძე, ბებია-პედაგოგი თამარ ალადაშვილი, ბებიის მეგობარი-პედაგოგი თამარ ლაპიაშვილი, მელია-პედაგოგი თამუნა ლეგაშვილი, სიკო და ნიკოს როლში წარმოგვიდგნენ პედაგოგები ქეთი ჯალიაშვილი და მზია წყარუაშვილი, ექიმი გახლდათ ნაირა ქაჩაიანი, მუსიკალურ გაფორმებას უზრუნველყოფდა მუსიკის პედაგოგი აზა ლაპიაშვილი, ხოლო მთხრობელი გახლდათ სცენარის ავტორი-ნათელა თამაზაშვილი.

წითელქუდას თანამედროვეობის ერთერთი გამოხატულება იმაში მდგომარეობდა, რომ სცენარში მობილური ტელეფონი ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტად იყო წარმოდგენილი, ბებიის დაქალი მობილურით ურეკავს წითელქუდას დედას, რომ ბებია შეუძლოდაა და შვილას საჭიროებს, დედა, რაღა თქმა უნდა, თავის ლამაზ წითელქუდას აგზავნის ბებიასთან, გზად მსვენიერი ყვავილი ია(პედაგოგი მაია გაგნიაშვილი) ეგებება და ერთმანეთთან საუბრის შემდეგ სიმღერას მღერიან. ორიგინალური ვერსისგან განსხვავებით წითელქუდასგზად

მელიაც ეგებება და მელიისთვის შესაფერისად მცირეოდენ ჟარგონულ საუბარსაც ჰქონდა ადგილი, რასაც ჩვენი დღევანდელობა გვერდს ვერაფრით აუვლის. შემდეგ კი, წითელქუდას მგელი ხვდება, რომელსაც სურვილი უჩნდება წითელქუდასთან იცეკვოს და იმღეროს. ასე რომ, დამეგობრებული მგელი და წითელქუდაც პირველად ვიხილეთ. იქვე იყო ჩართული ტყეში შეშის საჭრელად გამოსული მუშების სიკოს და ნიკოს შეშისჭრის სცენა, რომლებიც მუშაობით დაღლილნი ბაღდადურის ცეკვით ცდილობენ განმუხტვას და პატარების გასამხიარულებლად დაუვლიან. ზღაპარს ახლებური ვერსიის მიხედვით ძალიან ორიგინალური და მისაღები დასასრული ჰქონდა, მგელს სასიკვდილოდ არ იმეტებენ და მუცლიდან შეჭმული ბებიას და წითელქუდას ამოყვანის შემდეგ, სასწრაფო სამედიცინო მომსახურებას იძახებენ, რათა გადაარჩინონ იგი. როდესაც მგლის გადასარჩენად ექიმი მოვიდა, ბავშვებმა თავისი ემოციები ვერ დაფარეს და გულწრფელი გულისწყრომა გამოხატეს მგლის ფორმაში გამოწყობილი მაია მასწავლებლის გადარჩენისთვის. და ბოლოს ყველაზე მთავარი, მგელმა მოინანია თავისი ცუდი საქციელი და პირობა დადო, რომ ასე აღარ მოიქცეოდა. სპექტაკლის მსვლელობის დროს ყველაზე მეტად საინტერესო გახლდათ ბავშვების რეაქცია, თუ რამდენად კარგად მიიღეს მათ ეს სიახლე. ბავშვების სახეზე ამოკითხული ღიმილის და ბედნიერი სახეების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, სპექტაკლმა ნამდვილად დადებითი ემოციები გამოიწვია პატარებში.

-„მუდმივად მაქვს განცდა იმის, რომ რეგიონის ბავშვები დაჩაგრულები არიან იმ მხრივ, რომ რაიონში ნაკლებად თუ იმართება სპექტაკლები და საბავშვო კონცერტები, ამ მხრივ დიდ განებივრებას ნამდვილად არ განიცდიან ჩვენი ბავშვებიც, მშობლებს შესაძოა ძალიან დიდი სურვილიც აქვთ, რომ ბავშვები აზიარონ თეატრალურ კულტურას, მაგრამ ცხოვრება ძალიან ჭირს და დარწმუნებული ვარ, ბევრ ოჯახს არ აქვს ამის შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ ჩვენმა ბაღმა აიღო ინიციატივა, რომ ჩვენ, აღსაზრდელებს, ხანდახან მაინც, შესაძლებლობების ფარგლებში მოვუწყოთ ასეთი ლამაზი დღეები, ისე რომ, ჩვენს დარბაზში მხოლოდ ბავშვების კონცერტები კი არ იმართება, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი არიან მაყურებლის როლში, რაც, ვფიქრობ, მათ ინტელექტუალურ აღზრდაზე დადებითად იმოქმედებს. ერთად-ერთი, რაზეც გული დამწყდა, ის გახლდათ, რომ დარბაზში ადგილის სიმცირის გამო მშობლები ვერ მოვიწვიეთ სპექტაკლზე.“-აღნიშნა ჩვენთან საუბარში № 2 ბაგა-ბაღის დირექტორმა და ჩვენმა მასპინძელმა ქეთევან ჩალახეშაშვილმა.

ლალი მეხრიშვილი

მშვიდობა და მზე - მრავალ ახალწელს!

როგორც ყოველ წელს ქალაქ დედოფლისწყაროს №3 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა წინასაახალწლო ზეიმი წელსაც დიდი ხალისითა და ჟრიამულით ჩაატარეს. საახალწლოდ მორთულ-მოკაზმულ დარბაზში ჯერ უმცროსი ასაკის ჯგუფმა გამართა საახალწლო კონცერტი, რომელსაც ზოგიერთი მათგანის ცრემლები და ტირილი ახლდა თან, ზოგი ყოჩაღად მღეროდა და ლექსაობდა და არც თოვლის პაპის შეშინებია, საახალწლო ტკბილეული კი ყველამ სიამოვნებით დააგემოვნა.

უფრო თავდაჯერებულები იყვნენ უფროსი ჯგუფის ბავშვები. გოგონები თეთრ, ბრჭყვიალებით და ზიმზიმა აქსესუარებით მორთულ კაბებში გამოპრანჭულან და თავს ამეტებენ ვაჟებს. უფრო თამამად იქცევიან, მაგრამ არც ვაჟები უდებდნენ ტოლს და არის ერთი მხიარულება და ხალისი. ეს ნიკოლოზ გველუკაშვილია, მეკვლეობას რომ ნატრობს, რათა ყველა ოჯახს სიკეთე, ბედნიერება, მშვიდობა და მზე მოუტანოს, ბურდღუნიამ და მურიამ ერთად შემოურბინეს სოფელს და ახალი წელი მიულოცეს, გაკეთილშობილდნენ მგელი და მელია, „შეურიგდნენ“ წითელქუდას და მამალს და შეჰფიცეს, რომ ამიერიდან აღარაფერს დაუშავებენ, ტყის ცხოველებმა და ფრინველებმა გოზინაყი ერთად მოამზადეს დათუჩას მიერ მორთმეული თაფლით და ციყვის მორთმეული კაკლით და, მიუხედავად იმისა, რომ მგელს და მელას ხორცი და ქათამი ურჩევნიათ, მაინც ერთად მოილხინეს, პირი გოზინაყით ჩაიკოკლოზინეს და „მრავალჟამიერიც“ ერთად დააგუგუნეს, რადგან მთავარი ერთად ყოფნა და მეგობრობაა. პრანჭია გოგონები ფიფქების ნარ-ნარ ცეკვას ასრულებენ, ვაჟები ბაღდადურს უვლიან და ქალ-ვაჟთა წყვილები „ქართულს“ ცეკვავენ. ყველა მხიარულობს, ყველა ბედნიერია.

ბავშვებმა ახალ წელთან ერთად არ დაივიწყეს და ალილუია სიმღერის ფონზე უფლის სადიდებელი თქვეს.

ბევრი უშრომიათ უმცროსი ასაკის ჯგუფის პედაგოგს ხათუნა ალუღიშვილს, უფროსების პედაგოგს ნანა სეხნიაშვილს და მუსიკის მასწავლებელს ხათუნა ჯანაშვილს ამ ლამაზი ზეიმის მოსაწყობად. მათ მხარში ამოუდგნენ ბავშვების მშობლები, რომლებმაც იზრუნეს საახალწლო ტკბილეულის შეძენაზე, რომელიც თოვლის პაპამ ყველა აღსაზრდელს დაურიგა და გაახარა. იმედია, შემდგომ წლებში მშობლებს ფულის შეგროვება აღარ დაჭირდებათ.

საბავშვო ბაღის გამგემ მაია გონაშვილმა ბავშვებს ახალი წელი მიულოცა, ბედნიერება და სიხარული უსურვა მათ და პედაგოგებს მადლობა გადაუხადა საინტერესო და ლამაზი საახალწლო ზეიმის მოწყობისათვის. საბავშვო ბაღებში არდადეგები დაიწყო. ისინი მუშაობას 14 იანვრიდან განაახლებენ.

ნაირა გორაშვილი

წასულან ჩემი გაზაფხულები...

გულნარა ტვილდიანი - ეს სახელი და გვარი უცხო არ არის ჩვენი საზოგადოების საშუალო და უფროსი თაობებისთვის, თუმცა, ახალგაზრდობაც კარგად იცნობს მას, რადგან ის დღესაც მომავალი თაობის აღზრდის საქმეს ჩვეული ერთგულებითა და პროფესიონალიზმით ემსახურება და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, კვლავაც, აქტიურად არის ჩართული. მისი მოსწავლეები წარმატებულად მონაწილეობენ საგნობრივ ოლიმპიადებსა თუ კონფერენციებში, რაიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში, მას იცნობს და აფასებს პედაგოგიური საზოგადოება, თავისი სოფელი, მთელი ქედების ზონა. 41 წელია, გულნარა ტვილდიანი ქვემო ქედის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, აქედან 16 წელი სკოლის ორგანიზატორი გახლდათ, და არა მხოლოდ სკოლის, არამედ სოფლის: - მისი ხელმძღვანელობისა და აქტიური ჩართვის გარეშე არ ჩატარებულა არცერთი ღონისძიება, მუდამ პროგრესულად მოაზროვნე თავის სიტყვას ყოველთვის ამბობდა და არც არავის და არც არაფერს ერიდებოდა, ის დღესაც სოფლის ავტორიტეტად მოიაზრება და მის გარშემო ადამიანები ერთიანდებიან. ამიტომ მისი წარსული უამრავი ჯილდოთი აღინიშნა: იყო მასწავლებელთა IV ყრილობის დელეგატი, დარული და ზრუნვა პასუხისმგებლობის გრძნობას აყალიბებდა ჩვენში. მიუხედავად სიღარიბისა, ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა, მხიარული, ოცნებებით სავსე. როცა დედა სიღარიბეზე დაიჩივლებდა, ვპასუხობდი: - ნუ დარდობ, დედა, კარგად ვისწავლი, კარგი სპეციალისტი ვიქნები და ყველას მოგეხმარებით, მეთქი - იხსენებს ქალბატონი გულნარა.

მართლაც კარგად სწავლობდა. დაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო, მერე ლენტეხის საშუალო სკოლაში გააგრძელა სწავლა. 4 წელი რაზმეულის საბჭოს, ოთხი წელი კი კომკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ანსამბლის მოცეკვავეს ლაურეატის წოდებაც აქვს მინიჭებული.

- 11 კლასში რომ ვიყავი, 284 კომკავშირელი მყავდა ორგანიზაციაში. სწორედ სკოლაში მიღებული გამოცდილება დამეხმარა 16 წელი ქვემო ქედის სკოლის ორგანიზატორობის დროს, - ამბობს ის.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი იყო, როცა ერთხელაც, მეგობრებთან ერთად, ქუთაისიდან წყალტუბოში მიდიოდა. ავტობუსში ქ.წულუკიძის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტი ვაჟები დაემგზავრნენ და, როგორც ხდება ხოლმე, გოგონებს გამოელაპარაკნენ. მათ შორის ერთ-ერთი ქვემოქედელი ფირუზ ბურდული გახლდათ, ახოვანი, შავგვრემანი, მწვანე თვალები საოცრად უხდებოდა, მაგრამ... მაშინ სხვა დრო იყო, თუ გულწრფელი ვიქნები, ამაზე უკეთესი, ვაჟებთან „ღლაბუცი“ და „თვალის თვალში გაყრა“ რომ გოგონებისათვის კარგ საქციელად არ ითვლებოდა, გულნარამ ბავშვობიდანვე იცოდა, ამიტომ, მის მიმართ გამორჩეული ინტერესის მიუხედავად, მას ვაჟისთვის საუბარი არ გაუბამს, არ შეუმჩნევია, რომ მოეწონა. ვაჟმა კი გულში ჩაიდო და აისრულა კიდეც. ფირუზმა და გულნარამ ოჯახი შექმნეს. გულნარა დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე გადავიდა და ბინა ქვემო ქედში დაიდეს. სკოლაში დაიწყო მუშაობა. IV კლასი ჩააბარეს. როცა დირექტორმა მის ჩათვლის წიგნაკში ჩაიხედა, თქვა: - აი, ასეთი ცვლა გვჭირდებაო. პირველი დამსწრე მის კლასში განათლების განყოფილების ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტი, თავისი მიუკერძოებლობით და ობიექტურობით ცნობილი ქალბატონი მელო ბოქოლიშვილი გახლდათ. „ნამწყემსარის მოგონებანს“ ხსნიდა, ძალიან ღელავდა, გაკვეთილის განხილვისას მელომ გამოკვეთილად და ყველას გასაგონად თქვა: - ამ ახალგაზრდას ხელი შეუწყეთ, მას პერსპექტიული მომავალი აქვსო.

ხუთი დის ერთადერთი საფიცარი ძმა იყო ფირუზი, მშობლების ერთადერთი მემკვიდრე, მაგრამ... წყალმა წაიღო მათი ლოცვა-ვედრება, ტრაგიკულად დასრულდა ახალგაზრდა ყმაწვილის სიცოცხლე, საჭმლით მოწამლულს ექიმებმა დროზე ვერ დაუსვეს დიაგნოზი, სათანადო მკურნალობა ვერ ჩაუტარეს და... ოთხი თვის ფეხმძიმე მეუღლე დატოვა ფირუზმა, თვალი დარჩა საყვარელ ქალზე, რომელსაც დედოფალივით შესციცინებდა და ბედნიერ ცხოვრებას ჰპირდებოდა.

მას მერე 42 წელი გავიდა, გულნარას ბურდულების კერა არ გაუციცვებია, ერთგულად და პატიოსნად ემსახურა ოჯახს და ერთადერთ საფიცარ ვაჟს, რომელსაც მამის საპატივსაცემოდ ფირუზი დაარქვა.

- ქალბატონო გულნარა, რა იყო თქვენი თავდადების ყველაზე დიდი მიზეზი: სიყვარული, დედა-შვილობის ინსტიქტი თუ, ქართველი ქალის კოდში ჩადებული ერთგულება?

- იმ დღეების გახსენება არ მიყვარს, ძალიან მიმძიმს. რა იყოო მეკითხებით - ალბათ, ყველაფერი ერთად. 5 წლამდე ფირუზის დაძახებისას ისევ მეუღლის ასოციაცია იღვიძებდა ჩემში, 5 წლის შემდეგ დედა-შვილობამ ისე იმძლავრა და ისეთი ძალით შემოვიდა ჩემში, საკუთარი თავი, ყველა და ყველაფერი რომ დამავიწყა. მთელი ჩემი არსება დღემდე მისით ცოცხლობს, ყველაფერი მისია - ჩემი სული, გული, სიცოცხლე, თუ რამეს ვაკეთებ, ვშრომობ და ვქმნი, ყველაფერს მისი სახელი ჰქვია. სიღარიბეში გაზრდილს ამ ოჯახში ფუფუნება დამხვდა და ვერ შეველიე-მეთქი, ვერ ვიტყვი. ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, ხომ გაგიგონიათ, ასე იყო ჩემი საქმე. 6 შვილის პატრონებს ჩემს დედამთილმამამთილსაც უჭირდათ ცხოვრება, მაგრამ შვილის სიკვდილმა მთლად გაანადგურა ისინი. ერთადერთი ცხოვრების მიზანი მათთვის ჩემი ფირუზი იყო. მეც პატივს მცემდნენ, ვუყვარდი, ჩემს გზას გამოჰყურებდნენ ,ვიდრე სკოლიდან მოვიდოდი. არ შემეძლო, მათთვის ეს ნუგეში წამერთმია. არც იმის წარმოდგენა შემეძლო, რომ ჩემი შვილი ვინმე „სხვა კაცის“ ხელში შემხედვარე, სამადლო გამხდარიყო, ვინმეს მისთვის უკმეხი სიტყვა ეთქვა.... ერთი სიტყვით, ჩემს მხრებზე ავიღე ოჯახის ტვირთი და დღემდე მოვდივარ.... ამ სახლ-კარში იმდენი შრომა და ჯაფა მაქვს ჩაღვრილი, იმდენი ტკბილ-მწარე მოგონება მაკავშირებს, აქ გავხდი მეუღლეც, დედაც, ბებიაც, აქ გაიარა ჩემმა ცხოვრებამ, წავიდა ჩემი გაზაფხულები, ამიტომ არსად ისეთი ბედნიერი არ ვარ, როგორც აქ, ჩემს ჭიშკარში რომ შემოვალ, ჩემი ბოჩოლების ბღავილი რომ მესმის, ჩემი ქათმების კრიახი და ჩემი ძაღლის ყეფა.....

- ალბათ ამიტომ ვერ გაძელი ესპანეთში.

- ყველას გვახსოვს დამოუკიდებლობის პირველი 10 წელი. გაუსაძლისი პირობები, უქონლობა, უშუქობა... ჩვენც ძალიან გაგვიჭირდა, ფირუზი დაოჯახდა, ორი ვაჟი შეეძინა - დავითი და თორნიკე. მართალია, რძალიც უმაღლესი განათლებით იყო და ფირუზმაც სავაჭრო-ეკონომიური ფაკულტეტი წარმატებით დაამთავრა, სამუშაო არსად იყო, ოჯახს რჩენა უნდოდა... სხვადასხვა მცდელობის შემდეგ ფირუზი ესპანეთში წავიდა, იქ ჩემი სვანი ნათესავები უკვე მუშაობდნენ და მეც გავბედე, ბედი გვეცადა. ფირუზის საქმიანობა ცუდად არ აეწყო, მერე ნანაც წავიდა. ამასობაში ბავშვებიც მოიზარდნენ. ფირუზი ჩემზე დარდობდა, რომ მარტო ვწვალობდი, მთხოვდა, ბავშვები წამოიყვანე და შენც აქ წამოდიო. წავედი, ერთწლიანი უფასო შვებულება ავიღე და წავედი, მაგრამ ვერ გავძელი. მთელი ღამე სიზმრებში სულ გაკვეთილებზე ვიყავი, ვერ დავძლიე ნოსტალგიის მძიმე სენი, რომელიც ქართველებში ოდითგან დევს. როცა მივდიოდი, სამების ტაძარი თბილისში ჯერ გახსნილი არ იყო, ღმერთს სულ იმას ვევედრებოდი, ოღონდ ჩემს სამშობლოში დამაბრუნე, სიონში მუხლის ჩოქვით მივალ და სანთელს დავანთებ მეთქი. მადლობა უფალს, დავბრუნდი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სკოლაშიც და სახლის საქმეებითაც საკმაოდ დატვირთული ვარ, მაინც ძალიან მიჭირს მარტოობა. მინდა, ჩემი შვილი და შვილიშვილებიც აქ იყვენენ, მინდა, ყველა ლუკმა-პურისთვის გახიზნული ქართველი დაბრუნდეს, ისევ აივსოს სოფელი ხალხით, ოჯახი ბარაქით. ადრე, სკოლაში მიმავალს (გულნარა სოფლის თავში ცხოვრობს, სკოლა კი სოფლის ბოლოსაა) საათზე მეტი მჭირდებოდა, გზაში უამრავი ხალხი მხვდებოდა, ზოგს მე მოვიკითხავდი, ზოგი მე მომიკითხავდა, ვინ თავისი შვილის, ვინ შვილიშვილის ამბავს მკითხავდა, ახლა ისე გავივლი ამ გაუბედურებულ გზას, ორიოდ კინკილა ადამიანს თუ შევხვდები, სიცოცხლე ძველებურად არავის უხარია, ხალხის უდიდესი ნაწილი დამშეულია, პატარ-პატარა ნაკვეთების პატრონებს მიწის დამუშავების არავითარი მოტივაცია არ აქვთ, რადგან დანახარჯსაც ვერ ანაზღაურებენ. ოჯახში მოსახმარის იქით 1-2 ტონა პროდუქტი თუ მორჩებათ, ვერ უკეთებენ რეალიზაციას, გასაღების ბაზარი თქვენ უნდა მონახოთო, სად და როგორ მონახონ, საწვავს ცეცხლი უკიდია, ტრანსპორტი და ტრანსპორტირება ჭირს, არის ხალხი ასე დაღონებული.

- სხვა რა პრობლემებია სოფელში?

- შედარებით უკეთესი მდგომარეობაა წყალმომარაგების კუთხით, რისთვისაც მადლიერნი ვართ, გრაფიკით, მაგრამ მაინც ვიღებთ წყლის მარაგს. მაგრამ გასაკეთებელიც ძალიან ბევრია. პირველ რიგში გზა, ზოგადად რაიონამდე მისასვლელი ქედების გზა, მათ შორის გამორჩეულად დაზიანებულია ჩვენი სოფლის გზები. წელს შეიზღუდა შეშის ადგილობრივი დამზადებაც. ახმეტიდან და თელავიდან შემოტანილი შეშა საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა. გვესმის, რომ ტყეს განახლება სჭირდება, მაგრამ როცა ბუნებრივი აირი არ მოგვეწოდება, რა ქნას მოსახლეობამ, რით გათბეს?!

-ქალბატონო გულნარა, თქვენ ხართ მორწმუნე ქრისტიანი?

- მე ქრისტიანი ვარ ჩემი ცხოვრების წესით, მაგრამ ყოველდღიური ლოცვით და თხოვნით არ ვაწუხებ უფალს, მასთან სათხოვნელად უაღრესად მძიმე პერიოდში ვიჩოქებ და ვთხოვ, დამეხმაროს, თუ ღირსად მცნობს.

- სისხლით ნათესაობა 7 თაობაზე გადაეცემა, ნათელმირონი კი 9 თაობაზეო, - ამბობენ. ნათესაობა ვალდებულებაა, ნათელმირონი არჩევითი ნათესაობა. რაც უფრო მეტი ნათლული გყავს, მით უფრო სასურველი და მისაღები ხარ საზოგადოებისთვის. როგორ არის თქვენს შემთხვევაში?

- მე მეამაყება, რომ შვიდი ნათლული მყავს, შვიდივე ქალბატონია, ყველა დაოჯახებული და საზოგადოების ღირსეული წევრია. გული მტკივა, რომ ჩემი ერთადერთი ვაჟი ნათლული ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. ბედნიერი ვარ, როცა ჩემი ნათლულები წარმატებებისას ამბობენ: „ცალი გვერდი ნათლიის მაქვსო“.

- ქალბატონო გულნარა, მთაში დაიბადეთ და გაიზარდეთ, ბარში გაატარეთ თქვენი ცხოვრების დიდი ნაწილი, მაგრამ ისევ მთის ხალხთა შორის. რა ნიშანს გამოყოფდით მთის ხალხის ხასიათში?

- პირველ რიგში ეს არის სიზვიადე არა ამპარტავნობასთან, არამედ თავმოყვარეობასთან შეზავებული თავის მშობლიურ კერას. აბალახებული ეზო-კარის ყურება ძალიან ძნელია.

* * *

ჩვენი სტუმრობისას ესპანეთიდან დროებით სტუმრად ჩამოსულ ფირუზ ბურდულსაც შევხვდით და გავესაუბრეთ.

- 10 წელზე მეტია, ესპანეთში ვცხოვრობ, ცოლ-შვილიც იქ მყავს. გვაქვს დროებითი მოქალაქის უფლება, რაც ნიშნავს, რომ ესპანეთის ცხოვრების ყველა პროცესის მონაწილენი ვართ გარდა პრეზიდენტის არჩევისა. მაქვს სამშენებლო ბრიგადა. თუმცა ერთი წელია, მსოფლიო კრიზისმა ესპანეთშიც დიდი ცვლილებები გამოიწვია. შეჩერდა მშენებლობები. თუმცა, სოციალურ სფეროს ჯერ-ჯერობით არ შეტყობია. ქალაქებშიც და სოფლებშიც ხალხი კომფორტულად ცხოვრობს. არ არის კვების და სხვა სოციალური პრობლემები. პენსია 900-1000 ევროთი განისაზღვრება, რაც ნორმალური ცხოვრებისთვის საკმარისია. ჩვენც ჩვენი საცხოვრებელი ბინა გვაქვს. მეუღლეც მუშაობს. ბიჭები უკვე მაღალ კლასებში სწავლობენ და ზოგად განათლებასთან ერთად ვიწრო სპეციალობებსაც ეუფლებიან. მაგალითად, კულინარიას. ეს ესპანეთში ძალიან მიღებული და მაღალანაზღაურებადი დარგია. ამასთან, მისდევენ სპორტს. ორივე ფეხბურთით იყო გატაცებული. ახლა დავითი კულტურიზმით დაინტერესდა, უმცროსი - თორნიკე კი საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელია, მაღალი კლასის გუნდში თამაშობს და, როგორც მისი მწვრთნელი ამბობს, დიდი მომავალი აქვს. ღმერთმა ქნას, ვნახოთ, ცხოვრება წინ არის. საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად არ ვცხოვრობ, სულ იმას ვოცნებობ, როდის დავბრუნდები ჩემს მიწაზე, ჩემს ქვეყანაში. წელიწადში რამდენჯერმე ჩამოვდივარ, მეცოდება დედა რომ მარტო არის, მირჩევნია, ჩვენთან იყოს, მაგრამ იქაც ვერ გაძლო, - გვიყვება თავის ამბებს ფირუზი, რომელსაც მართლაც ფირუზისფერი თვალები აქვს, რომელთაგანაც სითბო და სიყვარული იღვრება.

* * *

ვულოცავთ ქალბატონ გულნარას ღვაწლის დაფასებას, მთავრობის მაღალ ჯილდოს - ღირსების ორდენს. ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებთ მის ოჯახს და იმ ნატვრის ასრულებას, როცა ქვემო ქედს ძველი დიდება დაუბრუნდება, როცა კვლავ აივსება სოფელი ბედნიერი ხალხით და გულნარას ეზოს შვილიშვილები და შვილთაშვილები აახმაურებენ.

ნაირა გორაშვილი

საჯარო სკოლების მოსწავლეებს სოციალური მედიის და ბლოგების შექმნის თემაზე ტრენინგი ჩაუტარდათ

ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში ჩატარდა ტრენინგი „სოციალური მედია სკოლაში“, რომელიც სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერით და ამავე სკოლის სამოქალაქო კლუბის ორგანიზებით გაიმართა. მასში დედოფლისწყაროს ოთხი საჯარო სკოლა მონაწილეობდა.

სოციალური მედიის მართვა შეისწავლეს სოფელ ხორნაბუჯის, არბოშიკის და ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

ტრენინგი სამოქალაქო კლუბის სოციალური მედიის ჯგუფის ლიდერმა და სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტმა გიგი იაკობიშვილმა ჩაატარა.

ტრენინგში მოსწავლეები გაერკვნენ, თუ რა არის ზოგადად სოციალური მედია, რა დანიშნულება აქვს მას და რაც მთავარია, მათ ისწავლეს ბლოგების შექმნა.

„ტრენინგზე მიღებულ ცოდნას ისინი გამიყენებენ იმისთვის, რომ შექმნან ბლოგები სამოქალაქო კლუბის შესახებ, ან პირადი მოხმარებისთვის,“ — განუცხადა “შირაქს” ტრენერმა გიგი იაკობიშვილმა.

მისი თქმით, თემამ მოზარდებში დიდი ინტერესი გამოიწვია. მსგავსი და სხვა შინაარსის ტრენინგები დედოფლისწყაროში კვლავაც ინტენსიურად გაგრძელდება.

ლევან შაიშმელაშვილი

კვლავ წარმატებები კიკბოქსინგის რინგზე

კიკბოქსინგი კ-1 წესებით ორთაბრძოლებში ყველაზე პოპულარული სახეობაა მსოფლიოში, რაზეც მეტყველებს „ევროსპორტის“ და სხვა გამოჩენილი ტელეარხების მიერ ტრანსლირებული კ-1-ის პროექტები. ამიტომაცაა, სპორტის ამ სახეობით ახალგაზრდობის მასიური დაინტერესება და გატაცება. საქართველოშიც უამრავი მიმდევარი და გულშემატკივარი ჰყავს.

საქართველოს აშიჰარა კარატეს ორგანიზაციამ კიკბოქსინგის ფედერაციასთან შეთანხმებით, 21-23 დეკემბერს ქალაქ თბილისში ჩაატარა ღია პირველობა კ-1-ში. მონაწილეობდნენ კარატესა და კიკბოქსინგის გუნდები სხვადასხვა ქალაქიდან. შეჯიბრზე გუნდი „ჩემპიონი“ თამაზ ყარაგვეზაშვილის ხელმძღვანელობით და ექვსი დედოფლისწყაროელი სპორტსმენით წარსდგა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდა საპრიზო ადგილები. ჩვენი რაიონის ჭაბუკი სპორტსმენები ამ ჩემპიონატზეც წარმატებით გამოვიდნენ და ხუთი მედალი მოიპოვეს.

პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ გიორგი გომერშმიდი (38კგ), ნიკა ფიროსმანაშვილი(57კგ).

მეორე ადგილზე გავიდნენ დავით ჯინაშვილი (60კგ), გიორგი ბენაშვილი (63კგ), მესამე ადგილს კი დაეუფლა თორნიკე ლეკაშვილი.

სასიხარულოა, რომ წელს დედოფლისწყაროს გუნდმა „ჩემპიონმა“ კიკბოქსინგის ფედერაციის საუკეთესო გუნდის ტიტული მოიპოვა, ვინაიდან წელს ჩატარებულ ყველა ტურნირსა და საქართველოს ჩემპიონატზე დაიკავა გუნდური პირველი ადგილი.

კლუბის ხელმძღვანელი მადლობას უხდის კულტურისა და სპორტის ცენტრს გუნდის ფინანსური უზრუნველყოფისთვის კ-1-ის ჩემპიონატზე.

პირველად ტაეკვანდოში – ქალები დედოფლისწყაროელებმაც მოსინჯეს და პირველ – მეორე ადგილები აიღეს

23 დეკემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური “საშობაო ტურნირი” ტაეკვონდოში. ამ ტურნირზე დედოფლისწყაროდან, კლუბ „არმია“-ს წევრი ორი სპორტსმენი მონაწილეობდა.

“შირაქის” ინფორმაციით, გიორგი მარტყოფლიშვილმა და გიორგი ცისკარაულმა პირველ-მეორე ადგილები აიღეს. ცნობისთვის, კახეთიდან სპორტის ამ სახეობაში ამ დრომდე არავის მიუღია მონაწილეობა.

მოგეხსენებათ, ტაეკვონდო ოლიმპიური სპორტის სახეობაა.

საკმაოდ რთული წესების მიუხედავად ჩვენს სპორტსმენებს არ გაუჭირდათ წარმატების მიღწევა.

როგორც კლუბ “არმიას” მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა “შირაქს” განუცხადა, საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის დედოფლისწყაროს კლუბ “არმიას” ორი სპორტსმენი შეჯიბრზე საკუთარი ხარჯებით იმყოფებოდა.

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი მატყოფლიშვილი ამ შეჯიბრზე საკმაოდ კარგად იყო მომზადებული ფიზიკურად, ტექნიკურად და ფსიქოლოგიურადაც, მან ორი ბრძოლის მოგება ასაკით დიდ სპორტსმენებთან ორ დაძაბულ ბრძოლაში შეძლო და ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა.

ხოლო გიორგი ცისკარაულმა პირველი ბრძოლის შემდეგ ფეხის ტრამვის გამო ვეღარ შეძლო ფინალური ბრძოლის მოგება და ქულათა მცირე სხვაობით დამარცხდა.

ილია მარტყოფლიშვილი

დიალოგი დაიწყო

პირველად 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, საქართველოსა და რუსეთს შორის ოფიციალური კონტაქტი შედგა. ჟენევაში საქართველოს პრემიერის ოფიციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, გრიგორი კარასინს შეხვდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დიალოგი გაგრძელდება.

პირველ ეტაპზე მოლაპარაკება კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობებს შეეხება. აღსანიშნავია, რომ რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების პროცესი დაიძრა. თუმცა, ექსპერტების შეფასებით, პრობლემები მაშინ დაიწყება, როდესაც მხარეები უკვე აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის საკითხის განხილვას დაიწყებენ. ამ თემასთან დაკავშირებით მოსკოვი და თბილისი პოზიციების შეცვლას არ აპირებენ.

წლის სიტყვა

2012 წელს უამრავი რამ მოხდა, მაგრამ წლის სიტყვად უდაოდ იქცა კოჰაბიტაცია, რომელმაც ქვეყნის სამთავრობო და საპარლამენტო წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მაინც რას ნიშნავს ეს სიტყვა?

კოჰაბიტაცია (ჩოჰაბიტატიონ) ფრანგული სიტყვაა და თანაცხოვრებას, თანაარსებობას ნიშნავს, რაც კარგად გამოხატავს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობის ხასიათს. კოჰაბიტაცია სათავეს საფრანგეთის მე-5 რესპუბლიკის კონსტიტუციიდან იღებს, როდესაც საფრანგეთი ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა. პრემიერისა და პრეზიდენტის მსგავსი „თანაარსებობა" კი მხოლოდ ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის დროსაა შესაძლებელი, როდესაც პარლამენტს შეუძლია უნდობლობის ვოტუმით მთავრობის გადაყენება, ხოლო პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა.

პირველი კოჰაბიტაცია საფრანგეთში 1986 წელს, სოციალისტი პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის დროს დამყარდა, როცა პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნების შედეგად მემარჯვენეები მოვიდნენ უმრავლესობაში. ამის გამო, მიტერანი იძულებული გახდა თავისი პოლიტიკური კონკურენტი ჟაკ შირაკი დაენიშნა პრემიერ-მინისტრად, რაც სერიოზული გამოცდა იყო მე-5 რესპუბლიკის კონსტიტუციისთვის, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების გადანაწილება პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს შორის ხშირად ურთიერთგამომრიცხავი და ბუნდოვანი იყო.

აღნიშნული კოჰაბიტაცია თავისი არსით კონფლიქტურ თანაცხოვრებას წარმოადგენდა, თუმცა არ გამორიცხავდა კოოპერაციას ისეთ საკითხებში, რომლებშიც მხარეების აზრი ერთმანეთს ემთხვეოდა. შედეგად მთავრობა, პრემიერ მინისტრის მეთაურობით ძირითადად დაკავებული იყო საშინაო პოლიტიკით, პრეზიდენტი ამ სფეროში არბიტრის როლით იფარგლებოდა, თუმცა მისი გავლენის სფეროში რჩებოდა საგარეო და ევროპული პოლიტიკა, თავდაცვა და ბირთვული სტრატეგია. ასეთი კოჰაბიტაციით პირველ რიგში პრეზიდენტმა მიტერანმა მიიღო სარგებელი, მისი რეიტინგი საშინაო პრობლემების მოგვარებითაც გაიზარდა, სადაც ის მხოლოდ მაშინ ერეოდა, როდესაც მთავრობა წამგებიან პოზიციაში იყო. შედეგად, მან ადვილად გაიმარჯვა 1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, სადაც მისი მოწინააღმდეგე მემარჯვენეების ლიდერი ჟაკ შირაკი იყო, რის შემდეგაც დაითხოვა პარლამენტი, ხოლო ახალი ნაციონალური ასამბლეის არჩევნები ისევ მიტერანის სოციალისტების ბლოკმა გაიმარჯვა. ამ ფაქტით დასრულდა პირველ კოჰაბიტაცია საფრანგეთში.

შემდეგი კოჰაბიტაცია 1993 წელს ისევ ფრანსუა მიტერანის პრეზიდენტობის დროს დამყარდა, როდესაც ნაციონალური ასამბლეის არჩევნების შემდეგ მანდატების 80% მემარჯვენეებს ერგოთ. მიტერანი კვლავ იძულებული გახდა პრემიერ-მინისტრად ოპოზიციის წარმომადგენელი ედუარდ ბალადიური დაენიშნა, რადგან ამ დროისთვის ჟაკ შირაკი 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა და საკუთარი კანდიდატურა არ წამოუყენებია. აღნიშნულმა კოჰაბიტაციამ შედარებით მშვიდად ჩაიარა, ამის მიზეზი, პირველ რიგში, იყო ის, რომ პირველი კოჰაბიტაციისგან განსხვავებით პრეზიდენტი და პრემიერი 2 წლის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში კონკურენტები არ იყვნენ, გარდა ამისა, მიტერანი დასუსტებული იყო, როგორც ფიზიკურად (ამ დროს უკვე დასმული ჰქონდა სიმსივნის დიაგნოზი) ასევე პოლიტიკურადაც. შედეგად, მეორე კოჰაბიტაცია პრემიერ-მინისტრის დომინირებით გამოირჩეოდა.

მესამე კოჰაბიტაცია საფრანგეთში უკვე გაპრეზიდენტებული მემარჯვენეების ლიდერის ჟაკ შირაკის დროს ჩამოყალიბდა, როდესაც იგი არ დაელოდა არჩევნებს და 1997 წელს დაითხოვა პარლამენტი. შედეგად, ვადამდელ არჩევნებში სოციალისტებმა გაიმარჯვეს და შირაკი იძულებული გახდა პრემიერ-მინისტრად ოპოზიციის ლიდერი ლიონელ ჟოსპენი დაენიშნა. კოჰაბიტაციის ეს პერიოდი ყველაზე დიდ ხანს, 5 წელს გაგრძელდა და პრემიერისა და პრეზიდენტის კონფრონტაციის მაღალი დონით გამოირჩეოდა. შირაკი ამ პერიოდს „დამბლის" პერიოდით მოიხსენიებდა. პრეზიდენტი განსაკუთრებით შეზღუდული იყო საშინაო პოლიტიკის სფეროში, სადაც სოციალისტმა უმრავლესობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი მემარცხენე ხასიათის რეფორმის გატარება შეძლეს. მე-3 კოჰაბიტაცია დასრულდა 2002 წლის ნაციონალური ანსამბლეის არჩევნებით სადაც მემარჯვენეებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთი პირველი ქვეყანა იყო, სადაც პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის კოჰაბიტაცია შესაძლებელი გახდა, თუმცა აღნიშნულ მოვლენას მოგვიანებით ასევე ადგილი ჰქონდა ისეთ სახელმწიფოებში, როგორებიცაა ფინეთი, რუმინეთი, უკრაინა და სხვა.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შედეგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უპრეცედენტო რეალობის მომსწრენი გავხდით, რეალობის, სადაც პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა ერთმანეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალებს წარმოადგენენ. პრეზიდენტი იძულებული იყო პარლამენტის უმრავლესობისთვის სასურველი პრემიერ-მინისტრის კანდიდატი წარედგინა, რის შედეგადაც, პრეზიდენტი და მთავრობა პრემიერ მინისტრის მეთაურობით წარმოადგენენ ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს. აღნიშნულ მდგომარეობას კოჰაბიტაცია ჰქვია.

გამოსათხოვარი

თამარ ფხოველიშვილი

თვალს და ხელს შუა გაქრა სიცოცხლე,
ამქვეყნად, თითქოს, გუშინ მოვედი,
გაფრინდა წლები, თან გაიყოლა
ცხოვრება, „ლურჯად ნახავერდები".

თამარ ფხოველიშვილი დაიბადა ქ. წითელწყაროში 1965 წლის 11 დეკემბერს. 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა რაიონის პირველი საშუალო სკოლა, ხოლო 1988 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი მათემატიკის სპეციალობით. დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას და მას შემდეგ დაუცხრომლად იღვწოდა, მათემატიკის ურთულეს მეცნიერებას აუფლებდა მოსწავლეებს.

თამარ ფხოველიშვილი მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებოდა და სისტემატიურად იმაღლებდა ცოდნის დონეს. 2011 წელს გამოცდები ჩააბარა მათემატიკასა და პროფესიულ უნარებში და სერთიფიცირებული მასწავლებლის კვალიფიკაცია მოიპოვა. მალევე საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის მფლობელიც გახდა.

ქალბატონი თამარი გამოირჩეოდა თავდაუზოგავი შრომითა და ენერგიულობით. სკოლა, მოსწავლე, გაკვეთილი მისი ცხოვრების მთავარი ასპარეზი გახლდათ. განათლება, ბავშვი - აი, თამრიკოს ღმერთთან შეთანხმებული ურთულესი საქმის მთავარი საიდუმლო! მან შეძლო, აღსაზრდელამდე მიეტანა ის დიდი სიკეთე, რითაც თავად ჰქონდა გული სავსე. თითოეულ მათგანს ზნეობრივი სისპეტაკით ზრდიდა, მისი აზრით, ახალგაზრდა ბოროტებასთან შეურიგებელი და ქედუხრელი უნდა ყოფილიყო. 23 წლის მანძილზე საგნის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით, ტაქტითა და დიდი ოსტატობით ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდის ურთულეს ხელოვნებას.

თამარ ფხოველიშვილი შემკული იყო საუკეთესო თვისებებით: თბილი და კეთილი, ერთგული და გულისხმიერი, უწყინარი და თავმდაბალი, უპრეტენზიო და მართალი - აი, მისი საუკეთესო ხასიათის არასრული სია. საქმისადმი დიდმა სიყვარულმა იგი ქალაქის მოსახლეობისთვის პატივსაცემ ადამიანად აქცია.

მათემატიკის სიყვარულთან ერთად ყველას ასწავლა ადამიანურობის, პატიოსნების, შრომისმოყვარეობის ძალა და მადლი. მაგალითის მიმცემი თავადვე იყო.

საქვეყნო საქმის პარალელურად საუკეთესოდ უძღვებოდა ოჯახს. იყო მოსიყვარულე შვილი მოხუცი მშობლების, ღირსეული მეუღლე და მზრუნველი დედა.

დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მისი უდროოდ ჩამქრალი სიცოცხლისა და შეწყვეტილი გაკვეთილის გამო. ნიჭიერსა და შრომის წყურვილით აღსავსე პედაგოგს წინ ჰქონდა მთელი ცხოვრება, რომელიც მომავალი თაობის აღზრდას უნდა მოხმარებოდა. მის სახელს არასოდეს მოეკიდება დავიწყების ხავსი და დიდხანს დარჩება თითოეული ჩვენგანის გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს, თამრიკო, შენი სული. გვჯერა, რომ შენი ადგილი მხოლოდ სამოთხეშია.

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი.

მონაცრება

გელა გიგაშვილი

შვილო გელა, 39 წლის ასაკში ნაადრევად გაგვიფრინდი, ჩვენმა გოდებამ მთელი უბანი შეძრა. 12 დეკემბერს გვიან ღამით უეცრად სუნთქვა შეწყვიტე. ვეღარაფერს გახდნენ შენი ძმა და რძალი.

როგორ ველოდითშარშან 8 იანვრის მოსვლას, შენი დაბადების დღის ერთად აღნიშვნას. შენი გარდაცვალებიდან 1 წელი გავიდა. მძიმე წელი გავლიეთ უშენოდ.

წელს 40 წელი შეგისრულდებოდა, გელა! შენი შვილები გოგა და ნათია ამჯერადაც მოვლენ შენს საფლავთან და დაგიტირებენ. მამით ობოლმა, შვილებიც რომ უდროოდ დააობლე... მათ ხომ შენი ყურადღება ახლა სჭირდებოდათ.

რა ვაჟკაცური და კეთილი იყავი, გელა! ძალიან მოაკლდი შენს ოჯახს, სამეგობროს, საახლობლოს, ყველას დასწყვიტე გული. შენ ხომ ყველას გვერდში დგომა გიყვარდა, ახლა კი იმედი დავკარგეთ.

გამუდმებით შენს გზას გამოვყურებთ, მაგრამ არსად ჩანხარ. დაუნდობელმა სიკვდილმა ჩვენი გზები გაყარა... სხვა გზა არ დაგვრჩენია, მანდ მოგილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს შენს სულს. სანამ ვიცოცხლებთ, ჩვენს გულებში დარჩები და ყურადღებას და სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებთ, ჩვენო გელა.

დედა ციცო, **ძმა** დათო, **რძალი** მაკა გიგაშვილები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს დავით ფხოველიშვილს დის

თამარ ფხოველიშვილის

გარდაცვალების გამო

გაზეთ "შირაქი"-ს რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დავით ფხოველიშვილს დის

თამარ ფხოველიშვილის

გარდაცვალების გამო

მშობლები: ვასილი, მარიამი, მეუღლე ივერი პაპუაშვილი, შვილები: გიორგი და ნატო, ძმები: დავითი,გივი, მაზლი ნოდარი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ძმისშვილები და მაზლისშვილები ოჯახებით იუწყებიან

თამარ ფხოველიშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 29 დეკემბერს ქ. დედოფლისწყაროში.

დავით ოზბეთელაშვილი და მაია ლაპიაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ივერი პაპუაშვილის ოჯახს

თამარ ფხოველიშვილის

გარდაცვალების გამო.

თოვლის პაპა, გეხვეწები...

ამბობენ, რეკლამა ევროპაში მანუფაქტურის განვითარების შედეგად წარმოიშვა და შემდეგ ამერიკის კონტინენტზე განვითარდაო. ლოგიკურია — საქონლის მიწოდების ზრდას XVII საუკუნის ინგლისში რეკლამირება აუცილებლად დასჭირდებოდა. თუმცა, ეს თეორია დასამარდა იმ უბრალო მიზეზით, რომ გათხრების შედეგად აღმოჩნდა - ანტიკური ქალაქების სახლების კედლები სავსე იყო სარეკლამო განცხადებებით. ათენისა და რომის ქუჩებში კი მოხელეები ხმამაღლა, ყვირილით ამცნობდნენ მოსახლეობას იმპერატორთა ბრძანებებს. აქედანაა სიტყვაც "რეკლამა", რომელიც ლათინურად შეძახილს ნიშნავს. სოციალური რეკლამის პირველი მერცხალი კი გასული საუკუნის 30 — იანი წლების ნიუ-იორკელი უსინათლო ყოფილა, გულზე ჩამოკიდებულ დაფაზე რომ ეწერა: "გაზაფხულია და მე ვერაფერს ვხედავ". ცხადია ამ წარწერის წაკითხვის შემდეგ გულაჩუყებული გამვლელები უხვად გაიღებდნენ მოწყალებას.

ანუ, რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, რაკლამა ისევე ძველია, როგორც სამყარო, რეკლამა საჭიროა, რეკლამა კარგია!

მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, ჩვენი ტელევიზიების გადამკიდემ? ვფიქრობ საზოგადოების დიდ ნაწილს ნამდვილად აწუხებს ეს პრობლემა — რეკლამის დრო ძალზე გაწელილია. ადრე თუ ამ მხრივ „რუსთავი -2" გვტანჯავდა, ახლა „მაესტრო" და „TV-9" დაემატა. არც პირველი არხი და სხვა მაუწყებლები აკლებენ. ვერ ნახავ ვერანაირ გადაცემას, რეკლამის მტანჯველი მონოტონურობა რომ არ შეეხოს და თავი არ მოგაბეზროს, საინფორმაციო გადაცემა იქნება, კინოფილმი თუ სხვა. მე პირადად ამის გამო კარგა ხანია მოვწყდი ტელევიზორს. ეს არის რეკლამის მიზანი?

გასაგებია, რომ განვითარებულ და ცივილიზებულ კაცობრიობას წინსვლისათვის რეკლამა აუცილებლად სჭირდება, თუმცა რეკლამა ეფექტურია მაშინ, როცა ის მომხმარებლის ინტერესებს ემთხვევა. არ გაინტერესებთ რა წერია საქართველოში მოქმედ რეკლამის შუმზღუდველ თუ მარეგულირებელ კანონში?

... რეკლამა არ უნდა აღემატებოდეს დღეში 12 საათს ...

ასეთი აბსურდი გსმენიათ?

თქვე დალოცვილებო, წინა პარლამენტს და მის აწ უკვე ყოფილ უმრავლესობას მივმართავ, ხალხი არ გეცოდებოდათ, კერძო ტელეკომპანიების, ვითომდა, განვითარების საბაბით, საკუთარ მოსახლეობას რომ ტანჯავდით ისეთი კანონის მიღებით, სადაც წერია, რომ 12 საათიან დღეში, რეკლამა 12 საათიანი შეიძლება იყოსო? ეს იყო "საქართველოს სახელწიფოებრიობაზე" ზრუნვა?

ამერიკელმა პუბლიცისტმა ვენს პაკარდმა მოსწრებულად თქვა, რომ რეკლამა — ესაა "ხელოვნება, რომელსაც უმიზნებ თავში და ახვედრებ საფულეში".

ეჰ, ბატონო ვენს, სადა გვაქვს ქართველებს საფულე, ანდა საფულე რად გვინდა უფულოდ. თქვენი გამონათქვამი საქართველოში არ მუშაობს. აქ სხვა ქარი ქრის და რეკლამაც კი ანგაჟირებულია, ამიტომ თქვენი პერიფრაზი ასეთ სახეს იღებს -საქართველოში რეკლამა ნიშნავს, "დაუმიზნო თავში და მოარტყა ტელევიზორში". შრომით დაქანცული გლეხი გასავათებული რომ დაბრუნდება სახლში და საღამოს გულის გადასაყოლებლად რომ ჩართავს, იმ ტელევიზორში; უმუშევარი რომ ჩართავს, დროის გასაყვანად, იმ ტელევიზორში; ბავშვი რომ ჩართავს მულტფილმების საყურებლად, იმ ტელევიზორში...ასეა, საქართველოში ტელევიზორში გადაცემებზე მეტ ხანს რეკლამას ვუყურებთ!

გვიშველეთ, შეცვალეთ ეს ნერვების მაოხრებელი კანონიო, ახალ პარლამენტს მე ხმას მაინც ვერ მივაწვდენ და ისევ თოვლის პაპას შევეხვეწები, იქნება ახალი 2013 წლიდან საქართველოს სატელევიზო გადაცემებში, სარეკლამო დრო შეაზღუდინო როგორმე... თორემ, დავწყდით ქართველები ერთიდაიგივეს უაზრობების მოსმენით და ყურებით დღეში ასჯერ.

მიხეილ მღებრიშვილი

ხალხური პოეზია

ზაზავ, შე კედელაშვილო,
ღმერთმა გიცოცხლოს გამზრდელი,
გვარი გაქვს შესაფერისი
გამაგრდი როგორც კედელი.
გილოცავ გამარჯვებასა,
ვაჟაის ჯიშის უმაწვილო,
რომ ვერ დაგძლია დუშმანმა
არ გახდი მტრების საკბილო.
გელიან შენი სოფლები
ორივ ქედი და არხილო
თუ რამ შეგიძლავ, მოგვხედე,
ფშავ—ხევსურების მახვილო.

დარიკო არაგული
ქ. დედოფლისწყარო.

ულოცავენ!

მაია ხუმარაშვილს

ქალბატონო მაია, მთელი გულით გილოცავთ სამსახურში დაწინაურებას. დაე, 2013 წელი ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენი ოჯახისთვის, წარმატებები და წინსვლა მოეტანოს თქვენს შრომა-საქმიანობაში.

პატივისცემით,

დედოფლისწყაროს №3 ბაგა-ბაღის დირექტორი
მაია გონაშვილი და თანამშრომლები

ნანა ჯალიაშვილს!

დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები

საახალწლო გართობა ჯადოსნურ სამყაროში

ყველა მშობლისთვის სასიამოვნია, როდესაც შვილის თვალებს გაბრწყინებულს ხედავ და გიხარია, რომ მას კიდევ ერთი ულამაზესი დღე აჩუქე. ჩვენს რაიონს ნამდვილად აკლდა ასეთი გასართობი ადგილები, სადაც ბავშვს გაახალისებ და მასთან ერთად მშობელიც შეძლებს დასვენებას. ეს პრობლემა ნამდვილად გადაიჭრა მანანა ცხვედიაშვილის და ბიძინა პაპაშვილის მიერ ბავშვთა გასართობი ცენტრის გახსნის შემდეგ.

ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის II კლასის დამრიგებელმა მანანა მახარობლიშვილმა შემოგვთავაზა კლასისთვის საახალწლო ზეიმი გასართობ ცენტრ „ლაბირინთში" გაგვემართა. მშობლებმაც და ბავშვებმაც ეს გადაწყვეტილება მოიწონეს და ჩვენს შვილებს ლამაზი წუთები ვაჩუქეთ.

საუცხოო დიზაინი, სასიამოვნო გარემო, სამი უნიჭიერესი წამყვანი: ლიკუნა, მარი და ანი ლოლაშვილები აქ იმ გარემოს ქმნიან, რაც ბავშვს გართობისა და შემოქმედებითი განვითარებისკენ უბიძგებს. ამ გოგონებს აღმოაჩნდათ ნიჭი იმისა, რომ თითოეული ბავშვისთვის გაეღვიძებინათ სურვილი, ჩართულიყვნენ თამაშებში, ხალისით წარმოეთქვათ ლექსები და შეესრულებინათ სიმღერები.

მადლობას ვუხდით მანანა მასწავლებელს ამ შემოთავაზებისთვის. ბავშვთა გასართობი ცენტრის ხელმძღვანელობას და წამყვანებს ამ ლამაზი დღისთვის.

მიაკითხეთ ბავშვთა გასართობ ცენტრ „ლაბირინთს" და თქვენ ჯადოსნურ სამყაროში აღმოჩნდებით.

დედოფლისწყაროს
№2 საჯარო სკოლის II
კლასის მოსწავლეთა
მშობლები.

მადლიერება

ორი წელია, უწყლობა მტანჯავდა. იმისი საშუალება არ მქონდა, რომ წყალი სახლში შემეყვანა, არადა ასაკოვანი გახლავართ და წყლის შორი მანძილიდან მოტანაც ჩემთვის თითქმის შეუძლებელი იყო. რამდენიმე დღის წინ მივედი წყალკანალის უფროსთან გია გოგილაშვილთან და შევჩივლე ჩემი გასაჭირის თაობაზე. ის დამპირდა, რომ პრობლემას მომიგვარებდა. ახლა სახლში წყალი უკვე მაქვს, ამისთვის დიდი მადლობა გია გოგილაშვილს და მის თანამშრომლებს. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მას და მის ოჯახს მივულოცო ახალი წელი. მრავალ ახალ წელს შეხვედროდეთ, ბატონო გია, ბედნიერი და ჯანმრთელი, კიდევ ბევრი ადამიანი გაგეხარებინოთ ისე, როგორც მე გამახარეთ.

იდა ტარასოვა,
ქ.დედოფლისწყარო

ამინდი — დედოფლისწყარო

შაბათი 29. 12	კვირა 30. 12	ორშაბათი 31. 12	სამშაბათი 01. 01	ოთხშაბათი 02. 01	ხუთშაბათი 03. 01	პარასკევი 04. 01
დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე
8 ° / 2 °	3 ° / 2 °	-3 ° / -4 °	-4 ° / -5 °	-3 ° / -4 °	-2 ° / -2 °	0 ° / -2 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნინრა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საარის" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K